

შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი
23 კონსტრაქშენ კო-ს
ფილიალი საქართველოში

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2023
წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2-5
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში.....	8
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში და მისი საქმიანობა	9
2. სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე	19
4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება	20
5. ფუნქციონირებადი საწარმო	21
6. ძირითადი საშუალებები	22
7. მარაგები	23
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	23
9. მომწოდებლებზე გადახდილ იავანსები.....	24
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
11. საწესდებო კაპიტალი.....	24
12. მიღებული სესხები	25
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	26
14. შემოსავალი	26
15. რეალიზაციის თვითღირებულება	26
16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	27
17. სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	27
18. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....	27
19. ფინანსური რისკების მართვა.....	28
20. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	32
21. შემდგომი მოვლენები.....	33

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს.

ქელოუ
დირექტორი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

დავით მასურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში-ს მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხებისა, მოცემული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთები, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფის ნარჩენი ღირებულება უდრის 118,991 ლარს და 169,017 ლარს, შესაბამისად. ჩვენ აღნიშნული ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ფლობილი ძირითადი საშუალებების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან ძირითადი საშუალებების ნაშთები, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის ხელმძღვანელობამ არ შეაფასა სამშენებლო ხელშეკრულების მომგებიანობა როგორც ეს მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის 37-ის მიხედვით. ვინაიდან მოსალოდნელი ზარალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების

ანგარიშებში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ-ის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

არსებითი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას აქვს არსებობის პერსპექტივა. როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, კომპანიის შესაძლებლობა ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა, დამოკიდებულია კომპანიის შემოსავლებზე. აღნიშნული გარემოებები ან პირობები სხვა საკითხებთან ერთად, რომელიც მითითებულია მე-5 შენიშვნაში, მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არსებითი ეჭვი კომპანიის შესაძლებლობაზე ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა. ხელმძღვანელობის გეგმები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ასევე განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შესწორებებს, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს ასეთი გაურკვევლობის შედეგად. ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამოხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო

სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

თამარ მერმანიშვილი

2024 წლის 29 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	3,491,924	4,515,463
არამატერიალური აქტივები		2,430	3,640
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,494,354	4,519,103
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	97,345	655,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,453,730	5,154,577
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9	818,743	539,350
წინასწარ გადახდილი გადასახადები		641,968	810,372
სხვა მოკლევადიანი აქტივები		11,144	66,588
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	1,281,379	186,610
სულ მიმდინარე აქტივები		5,304,309	7,413,474
სულ აქტივები		8,798,663	11,932,577
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	53,370,560	52,731,607
დაგროვილი ზარალი		(118,280,919)	(112,379,585)
სულ კაპიტალი		(64,910,359)	(59,647,978)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	53,137,916	47,644,394
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		53,137,916	47,644,394
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	5,378,800	5,404,000
მიღებული ავანსები		6,037,280	6,984,300
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	9,155,026	11,547,861
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20,571,106	23,936,161
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,798,663	11,932,577

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს.

ქელოუ
დირექტორი

დავით მაისურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	14	14,781,056	15,672,578
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15	(13,784,527)	(17,958,450)
მთლიანი მოგება/(ზარალი)		996,529	(2,285,872)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,768,124)	(1,366,405)
საპროცენტო ხარჯი		(3,564,150)	(5,690,234)
საპროცენტო შემოსავალი		8,975	4,264
მოგება სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		134,528	9,681,678
მოსალოდნელი ზარალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან	13	-	(821,527)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	17	(1,709,092)	352,955
ზარალი გადასახადამდე		(5,901,334)	(125,141)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური ზარალი		(5,901,334)	(125,141)
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(5,901,334)	(125,141)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს.

ქელოუ
დირექტორი

დავით მაისურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2022	52,731,607	(112,254,444)	(59,522,837)
სულ წლის სრული ზარალი	-	(125,141)	(125,141)
კაპიტალის გაზრდა	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	52,731,607	(112,379,585)	(59,647,978)
სულ წლის სრული ზარალი	-	(5,901,334)	(5,901,334)
კაპიტალის გაზრდა	638,953	-	638,953
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	53,370,560	(118,280,919)	(64,910,359)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს.

ქელოუ
დირექტორი

დავით მაისურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადის შემდეგ		(5,901,334)	(125,141)
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	15, 16	1,063,039	1,096,792
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე		(134,528)	(9,681,678)
მოსალოდნელი ზარალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან	13	-	821,527
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	9, 16	1,661,932	(269,378)
მომწოდებელზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	16	20,938	-
საგარანტიო ვალდებულების ჩამოწერა		-	(95,395)
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		21,283	15,490
საპროცენტო ხარჯი		3,564,150	5,690,234
საპროცენტო შემოსავალი		(8,975)	(4,264)
ფულადი სახსრები გამომუშავებული/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		286,505	(2,551,813)
მარაგების შემცირება		558,632	309,757
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		915,253	(1,833,688)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(3,248,130)	7,321,748
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(1,487,740)	3,246,004
მიღებული პროცენტი		8,975	4,264
გადახდილი პროცენტი		(638,954)	(3,678,860)
წმინდა ფულადი სახსრები გამომუშავებული საოპერაციო საქმიანობაში		(2,117,719)	(428,592)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		8,000	6,780
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(67,573)	(151,006)
კაპიტალის ზრდა		638,953	-
წმინდა ფულადი სახსრები გამომუშავებული/(გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობაში		579,380	(144,226)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	12	3,289,588	-
სესხების დაფარვით გასული თანხები	12	(537,080)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამომუშავებული წმინდა ფულადი სახსრები		2,752,508	-
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		1,214,169	(572,818)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	186,610	913,842
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		(119,400)	(154,414)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	1,281,379	186,610

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს.

ქელოუ
დირექტორი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

დავით მაისურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში და მისი საქმიანობა

შპს ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში („კომპანია“) დაარსდა 2012 წლის 20 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო, რეგისტრირებული ჩინეთში.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს მფლობელები იყვნენ შპს ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი კორპორეიშენ კო 65.89%-იანი წილით, შპს ჩაინა ნუკლერარ ენჟინერინგ კორპორეიშენ კო 18.57%-იანი წილით და შპს ჩაინა ნუკლერარ პაუერ ინჟინერინგ კო 15.54%-იანი წილით, შესაბამისად.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი კორპორეიშენ კო-ს მფლობელები იყვნენ შპს ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი კონსტრაქშენ გრუპ კო 61.22%-იანი წილით და შპს ჩაინა ცინდა ესეტ მენეჯმენტ 11.68%-იანი წილით. დანარჩენი 8 აქციონერი ფლობს 27.10%-იან წილს.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი კორპორეიშენ კო-ს და შპს ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი კონსტრაქშენ გრუპ კო-ს მფლობელი და მაკონტროლირებელი იყო ჩინეთის მთავრობა.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სერვისების მიწოდებას.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია ნამალადევის რაიონი, ჯავის ქუჩა #5, საქართველო, თბილისი.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 85 და 82 თანამშრომელი, შესაბამისად.

2023 და 2022 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 79 და 87 თანამშრომელი, შესაბამისად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უწყვეტი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განხორახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების

ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელებზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები გამიზნულია სერვისის მიწოდებით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისათვის. ეს კომპანიის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად, კომპანიას კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდა. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნესმოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) - კლასიფიცირდება.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და, სადაც საჭიროა, გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახდენს აღდგენითი ღირებულების შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას აქტივის გამოყენებადი ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	6-10
სატრანსპორტო საშუალებები	6-10
სხვა ძირითადი საშუალებები	15-20

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და

აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ კომპანიას გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამამდიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში კომპანიაში 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, კომპანია მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვის ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე. კომპანიამ შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიკურია.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწყისი აღიარებისას შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. კომპანიამ განსაზღვრა სრული მსდ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსდ არსებობის მანძილზე, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით წარმოიშობა (იგივე - მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპს ეკუთვნის. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს.

ყველა შემთხვევაში კომპანია მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამამდიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდური ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია „ფული და ფულის ეკვივალენტები“-დან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში, ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. კომპანია შემოსავალს იღებს სამშენებლო კონტრაქტებიდან. მისი პოლიტიკა შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით ახსნილია ქვემოთ:

როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის პროგნოზი სარწმუნოა, შემოსავალი და ხარჯები აღიარდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამშენებლო საქმიანობის დასრულების ეტაპის მითითებით, ანუ ფიზიკური წილის დასრულების მიხედვით.

საკონტრაქტო სამუშაოების ცვლილება, სხვადასხვა სახის პრეტენზიები და წამახალისებელი გადახდები გაითვალისწინება მაშინ, თუ მათი ოდენობის გაზომვა სარწმუნოაა შესაძლებელი და მისი მიღებაც საკმაოდ რეალურია.

როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის ვარაუდი სარწმუნოდ არ არის შესაძლებელი, საკონტრაქტო შემოსავალი აღიარდება იმ ხარჯების ოდენობით, რომელთა ამოღებაც სავარაუდოა. საკონტრაქტო ხარჯები ხარჯებად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი საკონტრაქტო ხარჯი საკონტრაქტო შემოსავალს გადააჭარბებს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

როდესაც კონკრეტულ მომენტამდე გაწეული საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამი, აღიარებული ზარალის გამოკლებით, აჭარბებს შუალედურ ანგარიშებს, სიჭარბეს კომპანია უჩვენებს როგორც საკონტრაქტო სამუშაოებიდან კლიენტებისგან მიღებულ თანხას. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, სადაც შუალედური ანგარიშები აჭარბებს ამ მომენტამდე გაწეულ საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამს, აღიარებული ზარალის გამოკლებით, სიჭარბეს კომპანია უჩვენებს, როგორც საკონტრაქტო სამუშაოებისათვის კლიენტებისთვის გადასახდელ თანხებს. სამუშაოს ჩატარებამდე მიღებული თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის როგორც ვალდებულება, როგორც მიღებული ავანსები. ჩატარებული და დარიცხული სამუშაო, რომელიც კლიენტის მიერ ჯერ არ ანაზღაურებულა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის როგორც მოთხოვნა მშენებლობიდან.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული კომპანიას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე საპენსიო ფონდში.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა, ძირითადად, მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. კომპანია, კლიენტების გადახდის უუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება

2023 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები (მოიცავს 2020 წლის ივნისის და 2021 წლის დეკემბრის ცვლილებებსაც ფასს 17-თან დაკავშირებით;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ფასს პრაქტიკის განცხადება - არსებითობასთან დაკავშირებული მსჯელობა და შენიშვნების გამჟღავნება;
- ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები (ცვლილებები) - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად; საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - პილარ ორის მოდელის წესები;
- ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (ცვლილებები).

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ზემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 - ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია¹;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილებები) - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია²;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილებები) - გრძელვადიანი ვალდებულებები შეთანხმებებით²;
- ბასს 7 და ფასს 7 (ცვლილებები) - მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები²;
- ფასს 16 (ცვლილებები) - საიჯარო ვალდებულება გაყიდვაში და უკუიჯარის დროს²;

¹ ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

² ძალაშია 2024 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

³ ძალაშია 2025 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

⁴ სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა მოამზადა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია განაგრძებს მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას. ამ შეფასების გაკეთებისას მენეჯმენტმა მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს დაგროვილი ზარალი 118,280,919 ლარის ოდენობით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ქონდა 5,901,334 ლარის ოდენობის ზარალი. ამასთან ერთად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება კომპანიის მიმდინარე აქტივებს 15,266,797 ლარით. ამ მოვლენებსა და გარემოებებს შეუძლია ექვევებ დააყენოს კომპანიის უნარი, ოპერირება გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მართებულია შემდეგი მიზეზების გამო:

- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-სგან აღებული სესხის მოკლევადიანი ნაწილით, რომელიც უდრის 5,378,800 ლარს. ხელმძღვანელობა არ მოელის რომ აღნიშნული კომპანია მოითხოვს სესხების დაფარვას ისე, რომ კომპანიას შეუქმნან ლიკვიდურობის პრობლემა;
- მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მომავალში კომპანია შეძლებს საკმარისი დაფინანსების მიღებას, რაც გადაჭრის ლიკვიდობის დეფიციტის პრობლემას და უზრუნველყოფს ოპერაციების დასაფინანსებლად საკმარისი თანხების არსებობას.

კომპანიის საქმიანობის გაგრძელება დამოკიდებულია კომპანიის დაფინანსებაზე, ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობაზე და მოზიდვაზე და შემოსავლების დაგენერირებაზე.

აღნიშნული მოვლენები და პირობები მიუთითებს, რომ არსებობს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არსებითი ეჭვი კომპანიის შესაძლებლობაზე, ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული რაიმე სახის კორექტირება, რაც დაკავშირებული იქნებოდა აღრიცხული აქტივების ღირებულებათა აღდგენა-კლასიფიკაციასთან და იმ ვალდებულებათა კლასიფიკაციასთან, რაც შეიძლება აუცილებელი გახდეს, თუ კომპანიამ ვეღარ შეძლო ფუნქციონირებადი საწარმოს ფორმით ოპერირების გაგრძელება.

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

6. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2022	349,605	937,933	7,580,410	2,174,654	1,113,891	12,156,493
შესყიდვა	-	-	9,992	138,621	2,393	151,006
რეალიზაცია	-	-	-	(101,065)	(195)	(101,260)
ღირებულება 31 დეკემბერი 2022	349,605	937,933	7,590,402	2,212,210	1,116,089	12,206,239
შესყიდვა	-	-	58,688	-	8,885	67,573
რეალიზაცია	-	-	-	(179,939)	-	(179,939)
ღირებულება 31 დეკემბერი 2023	349,605	937,933	7,649,090	2,032,271	1,124,974	12,093,873
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2022	-	(252,403)	(4,398,349)	(1,183,928)	(839,475)	(6,674,155)
წლის დარიცხვა	-	(44,552)	(737,506)	(205,824)	(107,728)	(1,095,610)
გაყიდულის ცვეთა	-	-	-	78,858	131	78,989
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	-	(296,955)	(5,135,855)	(1,310,894)	(947,072)	(7,690,776)
წლის დარიცხვა	-	(46,897)	(734,073)	(221,948)	(58,911)	(1,061,829)
გაყიდულის ცვეთა	-	-	-	150,656	-	150,656
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	-	(343,852)	(5,869,928)	(1,382,186)	(1,005,983)	(8,601,949)
ნარჩენი ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	349,605	640,978	2,454,547	901,316	169,017	4,515,463
31 დეკემბერი 2023	349,605	594,081	1,779,162	650,085	118,991	3,491,924

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ ყოფილა დაგირავებული.

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა 1,151,175 ლარის და 979,292 ლარის ღირებულების სრულად გაცვეთილი და მოხმარებაში არსებული ძირითადი საშუალებები.

7. მარაგები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნედლეული და მასალები	28,303	424,290
საწვავი	21,866	55,927
სათადარიგო ნაწილები	20,492	120,641
საბურავები	-	2,475
სხვა	26,684	52,644
სულ მარაგები	97,345	655,977

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	4,390,957	5,429,872
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,390,957	5,429,872
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(1,937,227)	(275,295)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	2,453,730	5,154,577

სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის დინამიკა შემდეგია:

	2023	2022
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 1 იანვარს	(275,295)	(802,498)
დარიცხული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(1,744,949)	(98,651)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაუქმება წლის განმავლობაში	83,017	368,029
გაუქმებული სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა	-	257,825
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 31 დეკემბრის	(1,937,227)	(275,295)

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხი შემდეგია:

	31 დეკემბერი 2023	ვადაგადაუცი ლებელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილ ებით	30-90 დღის ვადაგადაცი ლებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილ ებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ		2,488,450	16,720	-	1,885,787	4,390,957
მსდ არსებობის მანძილზე		(49,768)	(1,672)	-	(1,885,787)	(1,937,227)

შპს ჩაინა ნუქლერარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	ვადგადაუცი ლებელი	30 დღეზე ნაკლები ვადგადაცილ ებით	30-90 დღის ვადგადაცი ლებით	90 დღეზე მეტი ვადგადაცილ ებით	სულ
31 დეკემბერი 2022					
შეფასებული მთლიანი საბალანსო					
ლირებულია დეფოლტისას, სულ	5,429,872	-	-	170,100	5,429,872
მსდ არსებობის მანძილზე	(105,195)	-	-	(170,100)	(275,295)

9. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	839,681	539,350
სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	839,681	539,350
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(20,938)	-
სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები, წმინდა	818,743	539,350

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

(ლარი)	2023	2022
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 1 იანვარს	-	-
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის დარიცხვა	(20,938)	-
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაუქმება	-	-
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 31 დეკემბერს	(20,938)	-

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული სალაროში	14,337	967
ფული ბანკში	1,267,042	185,643
სულ ფული და ფულის ეკვივალენტი	1,281,379	186,610

11. საწესდებო კაპიტალი

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუქლერარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო, რეგისტრირებული ჩინეთში.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუქლერარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს მფლობელები იყვნენ შპს ჩაინა ნუქლერარ ინდასტრი კორპორეიშენ კო 65.89%-იანი წილით, შპს ჩაინა ნუქლერარ ენჟინერინგ

შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კორპორაციულ კო 18.57%-იანი წილით და შპს ჩაინა ნუკლეარ პაუერ ინჟინერინგ კო 15.54%-იანი წილით, შესაბამისად.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი კორპორაციულ კო-ს მფლობელები იყვნენ შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი კონსტრაქშენ გრუპ კო 61.22%-იანი წილით და შპს ჩაინა ცინდა ესეტ მენეჯმენტ 11.68%-იანი წილით. დანარჩენი 8 აქციონერი ფლობს 27.10%-იან წილს.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი კორპორაციულ კო-ს და შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი კონსტრაქშენ გრუპ კო-ს მფლობელი და მაკონტროლირებელი იყო ჩინეთის მთავრობა.

12. მიღებული სესხები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადანობა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო	დოლარი	7.77%	31/12/2034	58,516,716	53,048,394
სულ ნასესხები სახსრები				58,516,716	53,048,394

სესხების ვადანობა:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ერთ წლამდე	5,378,800	5,404,000
სულ ერთ წელიწადში გადასახდელი	5,378,800	5,404,000
ერთიდან ხუთ წლამდე	26,894,000	21,616,000
ხუთ წელზე მეტი	26,243,916	26,028,394
სულ ნასესხები სახსრები	58,516,716	53,048,394

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	31 დეკემბერი 2022	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	ამორტიზებული ღირებულების ცვლილება	31 დეკემბერი 2022
აღებული სესხები	53,048,394	2,752,508	3,356,586	(209,382)	(431,390)	58,516,716

	31 დეკემბერი 2021	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	ამორტიზებული ღირებულების ცვლილება	31 დეკემბერი 2022
აღებული სესხები	60,709,716	-	609,541	(9,672,696)	1,401,833	53,048,394

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	5,642,664	4,802,101
მოსალოდნელი ზარალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან	3,512,362	6,745,760
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,155,026	11,547,861

14. შემოსავალი

შემოსავალი შედგება:

	2023	2022
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	13,155,289	10,732,793
შემოსავალი იჯარიდან	1,173,268	515,834
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	344,331	1,500,626
შემოსავალი საბურავების რეალიზაციიდან	108,168	1,797,368
შემოსავალი სამშენებლო ტექნიკის რეალიზაციიდან	-	1,125,957
სულ შემოსავალი	14,781,056	15,672,578

15. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება:

	2023	2022
შემენილი მომსახურება	7,000,142	6,901,321
მასალების ხარჯი	2,911,671	2,057,669
შრომის ანაზღაურება	1,666,962	1,249,035
ცვეთა და ამორტიზაცია	1,018,343	1,053,412
იჯარის ხარჯი	302,401	1,208,407
რეალიზებული სამშენებლო მასალების თვითღირებულება	299,112	1,094,526
საწვავის ხარჯი	293,779	709,688
რეალიზებული საბურავების ღირებულება	105,584	1,727,950
სამეურნეო ხარჯი	25,424	168,636
რეალიზებული სამშენებლო ტექნიკის თვითღირებულება	-	1,484,776
დიზაინის ხარჯი	-	98,856
ტრანსპორტირების ხარჯი	-	25,152
სხვა პირდაპირი დანახარჯები	161,109	179,022
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13,784,527	17,958,450

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	803,022	839,564
საგადასახადო ხარჯები	257,322	6,209
საკონსულტაციო ხარჯები	226,801	59,852
კომუნალური ხარჯები	171,834	180,265
წარმომადგენლობითი ხარჯები	95,896	8,617
დაზღვევის ხარჯი	84,916	111,439
რემონტის ხარჯები	51,020	-
ცვეთა და ამორტიზაცია	44,696	43,380
ლაბორატორიული კვლევების ხარჯი	10,921	26,081
იურიდიული მომსახურების ხარჯები	-	53,036
სხვა	21,696	37,962
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,768,124	1,366,405

17. სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა

სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა შედგება:

	2023	2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	(1,661,932)	269,378
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(21,283)	(15,490)
მომწოდებელზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	(20,938)	-
საგარანტიო ვალდებულების ჩამოწერა	-	95,395
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი	(4,939)	3,672
სულ სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	(1,709,092)	352,955

18. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანია შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2023 და 2022 წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და ტოვებს სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიდან გაიტანა. ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მენეჯმენტს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, თუ რა გავლენას მოახდენენ ისინი კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და ხელშეწყობის მიზნით იღებს ყველა საჭირო ზომას.

19. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,453,730	5,154,577
ფული და ფულის ეკვივალენტი	1,281,379	186,610
სულ საკრედიტო რისკი	3,735,109	5,341,187

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
	USD 1 = 2.6894 GEL	EUR 1 = 2.9753 GEL	USD 1 = 2.7020 GEL	EUR 1 = 2.8844 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	790,412	-	74	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,865,722	-	2,068,485	-
სულ ფინანსური აქტივები	2,656,134	-	2,068,559	-
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	58,516,716	-	53,048,394	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,833,749	-	3,211,915	61,207
სულ ფინანსური ვალდებულებები	62,350,465	-	56,260,309	61,207
სულ წმინდა პოზიცია	(59,694,331)	-	(54,191,750)	(61,207)

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გამძვრება/გაიაფების მიმართ 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2023 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(11,938,866)	11,938,866	-	-

2022 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(10,838,350)	10,838,350	(12,241)	12,241

ეს რისკი გაანგარიშებულია კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან მიმართებაში.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სულ სესხები (შენიშვნა 12)	58,516,716	53,048,394
ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 10)	(1,281,379)	(186,610)
წმინდა სესხები	57,235,337	52,861,784
 სულ კაპიტალი	 (64,910,359)	 (59,647,978)
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	-	-

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია სრულად დაფინანსებულია მიღებული სესხებით.

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სამშენებლო მასალების მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაუერთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2023 წლის 31 დეკემბერი:

	6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,281,379	-	-	1,281,379
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,453,730	-	-	2,453,730
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	3,735,109	-	-	3,735,109
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,155,026	-	-	9,155,026
მიღებული სესხები	-	5,378,800	104,339,397	109,718,197
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	9,155,026	5,378,800	104,339,397	118,873,223
ლიკვიდობის დეფიციტი	(5,419,917)	(5,378,800)	(104,339,397)	(115,138,114)
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(5,419,917)	(10,798,717)	(115,138,114)	-

2022 წლის 31 დეკემბერი:

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	186,610	-	-	186,610
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,154,577	-	-	5,154,577
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	5,341,187	-	-	5,341,187
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,547,861	-	-	11,547,861
მიღებული სესხები	-	5,404,000	91,485,004	96,889,004
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	11,547,861	5,404,000	91,485,004	108,436,865
ლიკვიდობის დეფიციტი	(6,206,674)	(5,404,000)	(91,485,004)	(103,095,678)
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(6,206,674)	(11,610,674)	(103,095,678)	-

20. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი
მიღებული სესხები	58,516,716	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი
შრომის ანაზღაურება	-	-	18,637
საპროცენტო ხარჯი	3,564,150	-	-

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი
მიღებული სესხები	53,048,394	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი
შრომის ანაზღაურება	-	-	7,661
საპროცენტო ხარჯი	5,690,234	-	-

21. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს
ფილიალი საქართველოში
მმართველობის ანგარიშგება და
2023 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის
მოსაზრება

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში მმართველობის ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების აუდიტი. შპს „ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“-ს მმართველობის ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობის ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

თამარ მერმანიშვილი

მმართველი პარტნიორი

2024 წელი, თბილისი, საქართველო

შპს “ჩაინა ნუკლერ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში “

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, თბილისი
2024 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შესავალი - ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, სოციალური და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა.
3. თავი II - საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
4. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
5. თავი IV - სოციალური და დასაქმების საკითხები.
7. თავი V - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.
8. თავი VI - ძირითადი რისკები.

შესავალი

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

1.1 მიმოხილვა

შპს “ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში “ (შემდგომში - „კომპანია“) არის 2012 წლის 20 ივლისს დაფუძნებული უცხოური საწარმოს ფილიალი, იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჯავის ქ. N 5. ფილიალის დამფუძნებელი და სრული მფლობელია ჩინეთში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო, 10432201-2, 130000100000296, 01.11.1958.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო - ს აქვს 60 წლიანი გამოცდილება პროექტირებასა და სამშენებლო საქმიანობაში.

კომპანია უწყვეტად ანხორციელებს ატომური ელექტროსადგურების მშენებლობას 30 წლის განმავლობაში.

კომპანიის საერთაშორისო სამშენებლო ტრენინგ ცენტრმა გაიარა IAEA (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო) -ს ავტორიზაცია.

1.2 ბიზნესის სფერო

კომპანია ძირითადად ანხორციელებს ენერგეტიკულ პროექტებს, ისევე როგორც სხვადასხვა სახის სამშენებლო და საპროექტო პროექტებს ინფრასტრუქტურასა და ბინათმშენებლობის დარგებში.

1. ატომური ენერგეტიკა
2. ქიმიური მრეწველობა
3. ჰიდროენერგეტიკა
4. ალტერნატიული ენერგიის (ქარი, მზე) პროექტები
5. თბოელექტროსადგურების მშენებლობა
6. კოსმოსური პროექტები
7. ინფრასტრუქტურული პროექტები

თავი I

საქმიანობის ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვა

შპს “ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში “ (შემდგომში - „კომპანია“) არის უცხოური საწარმოს ფილიალი დაფუძნებული ჩინეთში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს მიერ. შესაბამისად მას ენიჭება დირექტორის დანიშვნისა და კონტროლის ფუნქცია.

სათავო ოფისის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) აკონტროლოს დირექტორის საქმიანობა;
- ბ) გააკონტროლოს და შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები, ხელშეკრულებები, საოფისე, სასაწყობო თუ სამშენებლო ობიექტები.
- გ) შეამოწმოს წლიური ანგარიშები.

საზოგადოების დირექტორი

ფილიალის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

კომპანიაში ფუნქციონირებს რამდენიმე დეპარტამენტი, რომელიც ექვემდებარება დირექტორს:

- 1. ადმინისტრაცია
- 2. ფინანსური
- 3. საპროექტო
- 4. შესყიდვების
- 5. იურიდიული

6. ხარისხის კონტროლის
7. შრომის უსაფრთხოების

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. გზების და ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია.
2. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება
3. ქვიშა-ხრემის მოპოვება და გადამუშავება.
4. სამშენებლო ტექნიკის იჯარით გაცემა
5. მანქანა-მექანიზმებით მომსახურება.

საქართველოში განხორციელებული ძირითადი პროექტები:

1. ინფრასტრუქტურა - E60 ავტობანის მშენებლობა სივრძე 19 კილომეტრი




2. ალტერნატიული ენერგიის პროექტი - 20 MW ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა გორში



3. ინფრასტრუქტურა - ავტობანის რუისი-აგარა-აგარის შემოვლითი გზის განათების სისტემის მონტაჟი



4. ფეროშენადნობი ქარხნისთვის 110 KVA ელექტროქვესადგურის მშენებლობა - ღირებულება 0.38 მილიონი ლარი



5. ფერდობის დაცვისა და ენერგომომარაგების ტრანსფორმაციის პროექტები ხადორის ჰიდროელექტროსადგურისთვის



ზემოთ მოყვანილი პროექტების შესრულებისას სამუშაოებს აკონტროლებს ზედამხედველობის სამსახური. მათი წარმოდგენლები ესწრებიან ყველა სამუშაო პროცესს, ასურათებენ და აოქმებენ ყველა ფარულ სამუშაოს. ყოველი თვის ბოლოს დამკვეთს წარედგინება შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ფორმა, რომლის სისწორეს ადასტურებენ ზედამხედველები. მთლიანად ობიექტი ბარდება ექსპერტიზის დასკვნით.

2023 წლის მნიშვნელოვანი პროექტები

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გააგრძელა არსებული პროექტები და დაიწყო რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება.

1. ინფრასტრუქტურა - გუდაურში კანალიზაციის, შეგროვებისა და წყალმომარაგების სისტემების მშენებლობის პროექტი
ღირებულება 9 777 700 მილიონი აშშ დოლარი



2022 წლის განმავლობაში ფაქტიურად დასრულებული პროექტი დაკორექტირდა და გაგრძელდა 2023 წლის და ნაწილობრივ 2024 წლის განმავლობაში შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ხელმოწერილი პროექტი - გუდაურის კანალიზაციის, შეგროვებისა და წყალმომარაგების სისტემების მშენებლობის პროექტი

2. ინფრასტრუქტურა - გუდაურში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის პროექტი
ღირებულება 8 381 829 მილიონი აშშ დოლარი და 798 749 ლარი



2023 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, 2019 წელს შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ხელმოწერილი, მეორე პროექტი - გუდაურის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის პროექტი. კომპანიისთვის ეს პროექტი ისევე როგორც ზემოთხსენებული, გუდაურში კანალიზაციის, შეგროვებისა და წყალმომარაგების სისტემების მშენებლობის პროექტი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან შესრულებისას სამუშაოები განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს და კონტროლდება არა მხოლოდ შესრულებული სამუშაოები არამედ სამუშაო გარემო და დაზღვევის პირობები. ამ ინფრასტრუქტურულ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს გუდაურის როგორც საკურორტო დესტინაციის ისე ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება/გაუმჯობესებისათვის. ამ პროექტის დასრულების საორიენტაციო ვადად განისაზღვრა 2024 წელი.

3. ინფრასტრუქტურა - საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის პროექტი ფოთში
ღირებულება 10 574 454 მილიონი აშშ დოლარი

2022 წლის განმავლობაში შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ხელი მოეწერა რიგით მესამე საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის პროექტს ქ. ფოთში. მშენებლობის პროცესი დაიწყო 2023 წლის განმავლობაში და გაგრძელდება შემდეგი წლების განმავლობაშიც. კომპანიისთვის ეს პროექტი ისევე როგორც ზემოთხსენებული, გუდაურის 2 პროექტი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, და აქაც შესრულებული სამუშაოები საერთაშორისო ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს და კონტროლდება არა მხოლოდ შესრულებული სამუშაოები არამედ სამუშაო გარემო და დაზღვევის პირობები. ამ ინფრასტრუქტურულ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს ფოთის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება /გაუმჯობესებისათვის. ამ პროექტის დასრულების საორიენტაციო ვადაა 2025 წელი.

4. ინფრასტრუქტურა - E60 ავტობანის მშენებლობა

უბისა-შორაპანის მონაკვეთი

ჯამური ღირებულება 1 681 913 აშშ დოლარი, რომელიც მოიცავს ორი კონტრაქტის ღირებულებას

2023 წელს გაგრძელდა შპს ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალთან 2022 წლის დასაწყისში ხელმოწერილი 921 149 აშშ დოლარი და 760 764 აშშ დოლარი ღირებულების ორი ხელშეკრულების უბისა-შორაპანის მონაკვეთზე ბეტონის გზის საფარისა და ბარიერების მშენებლობის განხორციელება.

კომპანიისთვის ამ დანიშნულების პროექტი არ არის ახალი და სრულდება იმ სტანდარტების შესაბამისად რომელიც ამ დიდი პროექტის შექმნისთვის არის საჭირო,



5. ინფრასტრუქტურა - E60 ავტობანის მშენებლობა

ხევი-უბისას მონაკვეთი

ღირებულება 1,763 მილიონი აშშ დოლარი

2023 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში ხელმოწერილი პროექტის სამუშაოები. კომპანიისთვის ამ დანიშნულების პროექტი არ იყო პირველი და მნიშვნელოვანია, რომ კომპანია აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს რომელიც ამ დიდი პროექტის შექმნისთვის არის საჭირო, რადგან შესრულებისას სამუშაოები განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს და კონტროლდება არა მხოლოდ შესრულებული სამუშაოები არამედ სამუშაო გარემო და დაზღვევის პირობები. კომპანიას გააჩნია ყველა სახის მანქანა-დანადგარი რომელიც ამ პროექტის განხორციელებისათვის არის საჭირო. შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში-თან ხელშეკრულება გაფორმებულია მანქანა-დანადგარების იჯარაზე რაც დამატებითი შემოსავალია კომპანიისთვის.



6. ვაჭრობა - სამშენებლო მანქანები და სათადარიგო ნაწილები

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ წინა წელთან შედარებით მცირე რაოდენობით განახორციელა სატვირთო მანქანების სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალების იმპორტი და რეალიზაცია. შპს „ოქროს ქვა“ -სა და შპს „ჯეო ქონსტრაქშენ“-სთან ხელმოწერილი ხელშეკრულებების საფუძველზე. ეს კომპანიისთვის ახალი სფეროა და შესაძლებელია სხვა კომპანიებთანაც განხორციელდეს მსგავსი შეთანხმებები, რაც კომპანიისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს.

7. მომსახურება - მანქანა-დანადგარების იჯარა

2023 წლის განმავლობაში კომპანია ანხორციელებდა მანქანა-დანადგარების იჯარას სხვადასხვა კომპანიებზე. მომსახურების ეს სფერო ბოლო წლების განმავლობაში დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა და ჩამოყალიბდა მომსახურების კიდევ ერთ დამატებით შემოსავლიან სფეროდ.

თავი II

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება;

განვითარების რესურსები:

- საკმარისი ტექნიკა გვაქვს გზებზე და ხიდებზე სამუშაოდ.
- არსებული რესურსები საკმარისია სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად.
- გვაქვს საკმარისი სამუშაო გამოცდილება სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად

თავი III

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები. აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა: ბეტონის ქარხანის მდგომარეობა ახალი. მუშაობს სრულად ავტომატურ რეჟიმში. ზუსტად იცავს რეცეპტით მიცემულ ნორმებს, რაც გარანტიას მალაზხარისხოვანი პროდუქციის წარმოებისათვის. კომპანიას გააჩნია უახლესი ბეტონის გასაგები მანქანა და ავტოპარკის სოლიდური რაოდენობა

თავი IV

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადმინისტრაციის დეპარტამენტის ადამიანურ რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

კომპანია აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)” რატიფიცირებულ 16-ვე კონვენციას.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანია საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა.

კომპანია ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

კომპანიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაქმებულთა უმეტესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდედრობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების შერჩევა, რადგან საზოგადოებისათვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საზოგადოების საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

ადამიანის უფლებების დაცვა

კომპანია იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საზოგადოების თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად. კომპანია მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

თავი V

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;

- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს. საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება.

ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოსდაცვის სფეროში. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება. ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ.

სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კომპანიასთან ამ სფეროში.

თავი VI

ძირითადი რისკები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამშენებლო რისკების

დაზღვევას: დაზღვევის ობიექტია:

1. ანაზღაუროს თანამშრომლის პრეტენზია კომპენსაციაზე, სხეულის ან ჯამრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე, რაც მას მიაღება ნორმალური სამუშაო მოვლენების შესრულებისას.

2. შტორმის, ციკლონის, წყალდიდობის, მეწყერის, წყლის დონის ამაღლებით და სხვა ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზარალი.

3. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მესამე პირის სიცოცხლეზე, ჯამრთელობაზე და/ან ქონებაზე დამდგარი ზიანი. სხვადასხვა მარაგების და ფასეულობების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვისთვის ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები:

- სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (ყოველთვიური, კვარტალური) ინვენტარიზაცია.
- ავტომანქანის საწვავის ავზებში დაყენებულია სპეციალური ჩიპები, რითაც კონტროლდება საწვავის წვის და ავტომანქანის მოძრაობა.
- საქმიანი ეზოში დაყენებული ვიდეოკამერები, რომლითაც სრულად კონტროლდება ტერიტორია.
- საქმიანი ეზოში აკრძალულია საწარმოს ავტომანქანის გარდა სხვა სატრანსპორტო საშუალების შესვლა.
- კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიურად უდარდება ბუღალტრულ მონაცემებს.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ საჭიროება მოითხოვს ჩინეთიდან ჩამოგვაქვს დაზიანებული ნაწილი
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი, რომელსაც ვაზღვევთ სადაზღვეო კომპანიის მეშვეობით.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.

- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.
 - ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.
- რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:
- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
 - გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
 - სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
 - პასუხიმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2024 წლის 29 სექტემბერს

ქელოუ
დირექტორი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

დავით მაისურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს.

ქელოუ
დირექტორი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



დავით მაისურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	3,491,924	4,515,463
არამატერიალური აქტივები		2,430	3,640
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,494,354	4,519,103
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	97,345	655,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,453,730	5,154,577
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9	818,743	539,350
წინასწარ გადახდილი გადასახადები		641,968	810,372
სხვა მოკლევადიანი აქტივები		11,144	66,588
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	1,281,379	186,610
სულ მიმდინარე აქტივები		5,304,309	7,413,474
სულ აქტივები		8,798,663	11,932,577
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	53,370,560	52,731,607
დაგროვილი ზარალი		(118,280,919)	(112,379,585)
სულ კაპიტალი		(64,910,359)	(59,647,978)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	53,137,916	47,644,394
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		53,137,916	47,644,394
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	5,378,800	5,404,000
მიღებული ავანსები		6,037,280	6,984,300
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	9,155,026	11,547,861
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20,571,106	23,936,161
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,798,663	11,932,577

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს.

ქელოუ
დირექტორი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



დავით მანსურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი 23 კონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	14	14,781,056	15,672,578
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15	(13,784,527)	(17,958,450)
მთლიანი მოგება/(ზარალი)		996,529	(2,285,872)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,768,124)	(1,366,405)
საპროცენტო ხარჯი		(3,564,150)	(5,690,234)
საპროცენტო შემოსავალი		8,975	4,264
მოგება სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		134,528	9,681,678
მოსალოდნელი ზარალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან	13	-	(821,527)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	17	(1,709,092)	352,955
ზარალი გადასახადამდე		(5,901,334)	(125,141)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური ზარალი		(5,901,334)	(125,141)
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(5,901,334)	(125,141)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს.

ქელოუ
დირექტორი



დავით მაისურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.


შპს ჩაინა ნუკლერარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2022	52,731,607	(112,254,444)	(59,522,837)
სულ წლის სრული ზარალი	-	(125,141)	(125,141)
კაპიტალის გაზრდა	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	52,731,607	(112,379,585)	(59,647,978)
სულ წლის სრული ზარალი	-	(5,901,334)	(5,901,334)
კაპიტალის გაზრდა	638,953	-	638,953
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	53,370,560	(118,280,919)	(64,910,359)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს.

ქელოუ
დირექტორი



2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

დავით მანსურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჩაინა ნუქლერარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(5,901,334)	(125,141)
მოგება მოგების გადასახადის შემდეგ			
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	15, 16	1,063,039	1,096,792
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე		(134,528)	(9,681,678)
მოსალოდნელი ზარალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან	13	-	821,527
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	9, 16	1,661,932	(269,378)
მომწოდებელზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	16	20,938	-
საგარანტიო ვალდებულების ჩამოწერა		-	(95,395)
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		21,283	15,490
საპროცენტო ხარჯი		3,564,150	5,690,234
საპროცენტო შემოსავალი		(8,975)	(4,264)
ფულადი სახსრები გამომუშავებული/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		286,505	(2,551,813)
მარაგების შემცირება		558,632	309,757
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		915,253	(1,833,688)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(3,248,130)	7,321,748
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(1,487,740)	3,246,004
მიღებული პროცენტი		8,975	4,264
გადახდილი პროცენტი		(638,954)	(3,678,860)
წმინდა ფულადი სახსრები გამომუშავებული საოპერაციო საქმიანობაში		(2,117,719)	(428,592)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		8,000	6,780
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(67,573)	(151,006)
კაპიტალის ზრდა		638,953	-
წმინდა ფულადი სახსრები გამომუშავებული/(გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობაში		579,380	(144,226)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	12	3,289,588	-
სესხების დაფარვით გასული თანხები	12	(537,080)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამომუშავებული წმინდა ფულადი სახსრები		2,752,508	-
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		1,214,169	(572,818)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	186,610	913,842
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		(119,400)	(154,414)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	1,281,379	186,610

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 29 სექტემბერს.

ქელოუ
დირექტორი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



დავით მაისურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში-ს მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხებისა, მოცემული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთები, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფის ნარჩენი ღირებულება უდრის 118,991 ლარს და 169,017 ლარს, შესაბამისად. ჩვენ აღნიშნული ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ფლობილი ძირითადი საშუალებების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან ძირითადი საშუალებების ნაშთები, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის ხელმძღვანელობამ არ შეაფასა სამშენებლო ხელშეკრულების მომგებიანობა როგორც ეს მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის 37-ის მიხედვით. ვინაიდან მოსალოდნელი ზარალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების

ანგარიშებში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ-ის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

არსებითი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას აქვს არსებობის პერსპექტივა. როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, კომპანიის შესაძლებლობა ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა, დამოკიდებულია კომპანიის შემოსავლებზე. აღნიშნული გარემოებები ან პირობები სხვა საკითხებთან ერთად, რომელიც მითითებულია მე-5 შენიშვნაში, მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არსებითი ეჭვი კომპანიის შესაძლებლობაზე ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა. ხელმძღვანელობის გეგმები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ასევე განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შესწორებებს, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს ასეთი გაურკვევლობის შედეგად. ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გაცვეთ ჩვენი თვალსაზრისის გამოხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო

სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:


- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასააღმსრულებლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმვლ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

თამარ მერმანიშვილი

2024 წლის 29 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში მმართველობის ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების აუდიტი. შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“-ს მმართველობის ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.


მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობის ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

მართვის საკონსულტაციო ჯგუფი



თამარ მერმანიშვილი

მმართველი პარტნიორი

2024 წელი, თბილისი, საქართველო



- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.
- ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.
- რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:
 - საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
 - გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
 - სისტემატიურად იგზავნიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
 - პასუხისმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2024 წლის 29 სექტემბერს

ქელო
დირექტორი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



დავით მაისურაძე
ბუღალტერი

2024 წლის 29 სექტემბერი
საქართველო, თბილისი